ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 22.09.1051

"6" აგვისტო 2010 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
ს ს ი პ
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
შეტანილია [illegible]
სახელმწიფო [illegible]
ამბს სახელმწიფო [illegible] კოდი
"10" 08 2010 წ.
№040.030.000.37.101.000.196.

„ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 30 მარტის 08.32.412 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N08.32.412 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს წესდებაში (დებულებაში) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილებები:

ა) 1-ლი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსიის 1^1 პუნქტი:

„1^1. სააგენტოს სრული დასახელებაა: "ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქონების მართვის სააგენტო". სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს სააგენტოს შემოკლებული დასახელება "სსიპ ქონების მართვის სააგენტო";

ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააგენტოს ფუნქციებია:

ა) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის უძრავი ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის უზრუნველყოფა;

ბ) ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის ქონების რეალიზაციის მიზნით, აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება;

გ) უძრავი ქონების აზომვითი სამუშაოების შესრულების მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უძრავი ქონების აზომვითი სამუშაოების დაკვეთა;

დ) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისა და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ან/და მის მართვას დაქვემდებარებული იურიდიული პირების საკუთრებაში (კაპიტალში) არსებული ან საკუთრებაში მისაღები ქონების ღირებულებითი შეფასების სამუშაოების შესრულების მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათი ღირებულებითი შეფასების დაკვეთა;

თბილისი 0160, ქ. შარტავას 7; ტელ: (+995 32) 37 81 23, ფაქსი: (+995 32) 37 81 54; www.Tbilisi.gov.ge

ე) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოთა მართვა ამ წესდებით (დებულებით) დადგენილ ფარგლებში და წესით;

ვ) ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, ამ საწარმოთა ფინანსური ანგარიშების (ბალანსების, მოგება-ზარალის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების) მიღების უზრუნველყოფა, მათი საქმიანობის თაობაზე ანგარიშების მოსმენა და შეჯამებული ანგარიშის წარდგენა ქ. თბილისის მთავრობისთვის;

ზ) საფინანსო-ეკონომიკური მონიტორინგის სისტემის ფორმირება;

თ) საწარმოთა საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან ქ. თბილისის ბიუჯეტის კუთვნილი დივიდენდების მობილიზაცია. საწარმოთა წმინდა მოგებისა და სხვა შემოსავლების განაწილების თაობაზე ნორმატივების განმსაზღვრელი დოკუმენტაციის პროექტების შედგენა, მათი ქ. თბილისის მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ი) საწარმოთა აუდიტორული შემოწმებების ორგანიზების კონტროლი და კოორდინაცია;

კ) საწარმოთა დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხების განხილვა და კოორდინაცია, ამ საკითხებთან დაკავშირებული სათანადო წინადადებებისა და დოკუმენტაციის პროექტების მომზადება; არაეფექტური და წამგებიანი საწარმოების გამოვლენა და შემდგომი რეაგირების მიზნით, სათანადო წინადადებების შემუშავება;

ლ) საწარმოებში "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დამფუძნებლისათვის მინიჭებული (პარტნიორის/აქციონერის) უფლებამოსილების განხორციელება, პარტნიორთა (აქციონერთა) კრებებზე, რწმუნებული პირების მეშვეობით, საწარმოთა მართვაში მონაწილეობის მიღება;

მ) საწარმოებში ქ. თბილისის მთავრობის (როგორც პარტნიორის) წარმომადგენელთა დანიშვნის (არჩევის) შესახებ საკითხების განხილვა-კოორდინაცია და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება;

ნ) საწარმოების ბალანსზე/კაპიტალში რიცხული ქონების გირაოთი ან იპოთეკით დატვირთვის ან/და იმ ვალდებულებებთან/საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ქ. თბილისის მთავრობისთვის წარდგენა, რისთვისაც წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით საჭიროა პარტნიორის თანხმობა;

ო) საწარმოების წესდებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება ქ. თბილისის მთავრობის წინაშე საწარმოთა კაპიტალში ცვლილებასთან დაკავშირებით;

პ) ზემდგომი თანამდებობის პირის/ორგანოს დავალებით ქ. თბილისის თვითმმართველობის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასა და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების წინმსწრები განხილვა, ორგანიზება და ქ. თბილისის მთავრობისთვის წარდგენა; ქ. თბილისის თვითმმართველობის ქონების, თვითმმართველი ერთეულის ორგანოებსა და თვითმმართველი ერთეულის სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადაცემასთან დაკავშირებული პროცედურის ორგანიზება;

ჟ) დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა;

რ) დაინტერესებული პირისთვის (ქ. თბილისის მთავრობის მოვალისათვის) ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულების დადასტურება, დასადასტურებელი ვალდებულების განსაკუთრებულ შემთხვევებში თავისებურებიდან გამომდინარე სააგენტო უფლებამოსილია საკითხი განსახილველად წარუდგინოს ქალაქ თბილისის მთავრობას;

ს) დაინტერესებული პირისთვის (ქ. თბილისის მთავრობის მოვალისათვის) სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის განვადება ხელშეკრულების მოქმედების ვადით განსაკუთრებულ შემთხვევებში თავისებურებიდან გამომდინარე სააგენტო უფლებამოსილია საკითხი განსახილველად წარუდგინოს ქ. თბილისის მთავრობას;

ტ) ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული), ასევე, დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული, მოქმედი კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებული პროცედურების გატარება;

უ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება."

გ) მე–6 მუხლის მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა. პრივატიზების სამსახური;

ბ. ეკონომიკური სამსახური;

გ. უზრუნველყოფის სამსახური;

დ. ადმინისტრაციული სამსახური."

დ) მე–7 მუხლის მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ეკონომიკური სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოთა მართვა, ამ წესდებით (დებულებით) დადგენილ ფარგლებში;

ბ) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოთა შესახებ ინფორმაციის მომზადება, ქ. თბილისის მთავრობისთვის წარსადგენად;

გ) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოთა ხელმძღვანელი პირების დანიშვნა/გათავისუფლების, მათი სახელფასო განაკვეთების, საწარმოთა სტრუქტურების შესახებ შესაბამისი პროექტების მომზადება და ქ. თბილისის მთავრობისადმი წარდგენა;

დ) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოებში დარღვევა–ნაკლოვანებების არსებობის შემთხვევაში სათანადო ზომების განხორციელება;

ე) საწარმოთა აუდიტორული შემოწმების კოორდინაცია;

ვ) სააგენტოს მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფა;

ზ) სააგენტოს საფინანსო–ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის უზრუნველყოფა;

თ) სააგენტოს საკადრო რესურსების მართვა;

ი) მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული კორესპონდენციების განხილვა;

კ) სამსახურის გამართული მუშაობის მიზნით, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ლ) სამსახურის ყოველთვიური, კვარტალური და წლიური სტატისტიკური მონაცემების მომზადება;

მ) სააგენტოს უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება."

ე) მე–7 მუხლის მე–4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. ადმინისტრაციული სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ბ) სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობა;

გ) დოკუმენტაციის სამართლებრივი შეფასება;

დ) ცალკეული ინდივიდუალური და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

ე) აქტებისა და ხელშეკრულებების შესრულების ანალიტიკა;

ვ) სააგენტოს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლი;

ზ) საგენტოში მოქმედი შინაგანაწესის შესაძლო დარღვევის გამოვლენა და შემდგომი რეაგირება;

თ) სხვა სამსახურებთან კოორდინაციაში დარღვევა-ნაკლოვანებებაზე არსებულ ინფორმაციაზე რეაგირება;

ი) მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ კორესპონდეციათა განხილვა;

კ) სამსახურის გამართული მუშაობის მიზნით, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ლ) სამსახურის ყოველთვიური, კვარტალური და წლიური სტატისტიკური მონაცემების მომზადება;

მ) სააგენტოს უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება."

2. დადგენილება ძალაში შედის 2010 წლის 16 აგვისტოს.

ქ. თბილისის მერი

გიორგი უგულავა